თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №33

28 ივნისი 2018 წ.

ქ. თელავი

**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, შესაბამისი საჭიროების მქონე პირებს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება - უნარშეზღუდულთა ეტლები და საგორავები.

2. განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული გადასაცემი მოძრავი ქონებით მოსარგებლე პირთა ვინაობა, საჭიროების გათვალისწინებით, განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე